შპს „ვარციხე 2005“

ტექნიკური დავალება

შპს „ვარციხე 2005“-ის კუთვნილი ჰესი 1-ის, ჰესი 2-ის , ჰესი 4-ის საგენერატორო შენობებში არსებული მარჯვენა ფლიგელების დაზიანებული შიდა კიბის უჯრედის შეკეთება

1. ზოგადი დახასიათება

შპს“ ვარციხე 2005“-ის კუთვნილი ჰესი 1 – ექსპლუატაციაში შევიდა 1975 წელს. შპს „ვარციხე 2005“-ის ჰესების ტეროტორიაზე განლაგებულია ძირითადი შენობა - ჰესის საგენერატორო შენობა, რომელშიც დამონტაჟებულია ჰესის ძირითადი ელ.ძალოვანი მოწყობილობები - ჰიდროაგრეგატები და ასევე მათი დამხმარე მოწყობილობები და შედგება 4 სართულიდან: ერთი მიწისზედა სართული - სამანქანო დარბაზი; 3 მიწისქვეშა სართული - სატურბინო დარბაზი, ტექნიკური წყალმომარაგების დარბაზი და სადრენაჟო გალერეა.

შპს“ ვარციხე 2005“-ის კუთვნილი ჰესი 1 – ექსპლუატაციაში შევიდა 1975 წელს.

შპს“ ვარციხე 2005“-ის კუთვნილი ჰესი 2 – ექსპლუატაციაში შევიდა 1978 წ.

შპს“ ვარციხე 2005“-ის კუთვნილი ჰესი 4 – ექსპლუატაციაში შევიდა 1988 წ.

სართულები დაკავშირებულია ერმანეთთან შიდა კიბეებით - შენობის მარჯვენა და მარცხენა მხარეს), რომლებიც აგებულია რკინის (მეტალის) ჩარჩოებზე დადგმული ბეტონის საფეხურებით. ხანგრძლივი ექსპლუატაციის შედეგად და წყლის და ნესტის ზემოქმედების შედეგად კიბეები ძლერ არის დაზიანებული - კოროზირებულია, ზიგიერთ ადგილას მეტალის კონსტრუქციები მასიურად გამოსულია მწყოდრიდან.

ელ.მოწყობილობებში უსაფრთხოების ტექნიკის წესების დაცვის მიზნით და დანადგარების უსაფრთხოდ მუშაობის მიზნით აუცილებელია აღნიშნული კიბეების აღდგენა-შეკეთება.

2. სამუშაოს ადგილმდებარეობა

დასავლეთ საქართველო, იმერეთის რეგიონში წყალტუბოსა და სამტრედიის მუნიციპალიტეტების ტერიტორიებზე განლაგებული ოპერირებადი ვარციხე ჰესების კასკადი, შემდგარი ოთხი იდენტური ჰიდოელექტროსადგურიდან:

- შპს „ვარციხე 2005“, ჰესი 1 - წყალტუბოს რაიონი, სოფელი გეგუთი (ვარციხეჰესის დასახლება), საკ კოდი 29.14.33.068;
- შპს „ვარციხე 2005“, ჰესი 2 - წყალტუბოს რაიონი, სოფელი ტყაჩირი, საკ კოდი 29.17.36.450;
- შპს „ვარციხე 2005“, ჰესი 4 - სამტრედიის რაიონი, სოფელი ბაში, საკ კოდი 34.09.47.017.

3. სამუშაოს მოკლე აღწერა

შესასრულებელი სამუშაო წარმოადგენს არსებული კიბის უჯრედების სრულ დემონტაჟს და ახალი კიბის უჯრედების მონტაჟს, მათ შორის :

- არსებული კიბის უჯრედების კიბის ბეტონის სეფეხურების დემონტაჟი;
- არსებული კიბის უჯრედების მეტალოკონსტრუქციების დემონტაჟი;
- ახალი მეტალოკონსტრუქცოების (კიბის მარშების) მონტაჟი;
- ბაქნის საყრდენების მონტაჟი;
- ახალი ბაქნის მეტალოკონსტრუქციების მონტაჟი;
- ახალი კიბის საფეხურების დამზადება-დამუშავება და მონტაჟი (საფეხურების მასალა - რკინის ფირფიტა სისქით 3 მმ, ე.წ. „რიფლიონკა“).
- ახალი ბაქნების დამზადება-დამუშავება და მონტაჟი (ბაქანის მასალა - რკინის ფირფიტა სისქით 3 მმ, ე.წ. „რიფლიონკა“).
- მეტალოკონსტრუქციების და კიბის საფეხურების ანტიკოროზიული საღებავით შეღებვა.

შენიშვნა: ახალი კიბის მეტალოკონსტრუქციების მონტაჟის დროს დასაშვებია არსებული მეტალოკონსტრუქციების კვანძების გამოყენება მათი ვარგისიანობის შემთხვევაში ***(დამკვეთთან შეთანხმებით).***

სატენდერო წინადადებას თან უნდა დაერთოს შესასრულებელი სამუშაოების მოცულობის (მასალების და მომსახურეობის ხარჯების) ცხრილი, რომლის მიხედვითაც ტენდერში მონაწილე პრეტენდეტმა უნდა წარმოადგინოს საჭირო მასალებისა და მომსახურეობის დეტალური ღურებულება.

4. დამატებითი მოთხოვნები

- სამუშაოები უნდა განხორციელდეს აღნიშნულ სფეროში საქართველოს კანონმდებლობის და საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნათა სრული დაცვით.
- მსგავსი სამუშაოების წარმოების გამოცდილება;
- წარმოდგენა იმ პროექტების, რომელიც ჩატარებულია საქართველოში;

შპს „ვარციხე 2005“-ის ადმინისტრაცია